



# თეატრი და სხვაობა

ავთოგვრთ სალიტერატუროთ ჟურნალი

შაბათი, 7 გიორგოვისთვე № 45 - 1915



† ბიენტი (ჭოლა) ბიბონისძე ლომთა-თიძე (1881—1915)

ნომერი უკვე დასაბეჭდათ გამზადებული გეგმონდა, ტელეგრაფმა სამწუხარო ამბავი რომ გვაცნობა:

გ რდაიცვალა ბიენტი (ჭოლა) ლომთათიძე, ბელეტრისტი და მწერელი. სათაბიროს წევრად ნამუფი, ერთი იმ თავგამოდებულ მებრძოლთაგანი, რომელნიც ზეარაკად განიწივნენ ზალხის უფლებითა მოპოებისათვის...

მთელი ხან მიკვლე სიცოცხლე ჭოლასი, სიყმაწვილიდან სიკვდილის კარამდე, მოუსვენარი და მშფოთვარე ბრძოლა იყო უკულმართობის წინაღობა. დეგ: მისი ფხიზელი გონება, ნაზი და სათუთი გრძობა ტყვეობაშიაც კი არ იხეუნებდა და სიტყვით თუ წერით მარად უკეთეს ცხოვრებისკენ მოუწოდებდა მაშვრალ-გვემულთ... როგორც პრაქტიკული მოღვაწე და მწვერალი ცხრაასიან წლებში გამოვიდა საზოგადო ისპარეზზე; დიქს მონაწილეობას იღებდა განათვისუფლებელ მოძრაობაში, თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში (სპ. მკირიუგილის, გერის, კ. ოლიას და სხ. ფსევდონიმებით), 1907 წ. 22 თებრ. ქუთაისის გუბერნიის მხრით არჩეულ იქმნა დეპუტატთ სახ. სათაბიროში, სადაც ს. დემოკრატიულ ფრაქციაში ჩაირიცხა, მულამ მოწინავე დემოკრატიის წრეში იყო, 1907 წ. 1. ენკენ, სოც. დემოკ. ფრაქციის განსამართლების დროს 5 წ. კატორგა გადაუწყვიტეს, რაიც 7 1/2 წ. ციხედ შეუცვალეს და უკანასკნელ ტყვეობაშივე ამოხდა სული. — დაწერილებით ბიოგრაფიასა და მისი მოღვაწეობის დახასიათებას. შენდღე ან-ში დაბეჭდათ

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ.—ხელის-მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифლისь Ред. „Театри да Цховсеба“ I. Имедашвили.

შახი 10 კ.

## 7 გიორგოვისთვე

კუჭი და ხელოვნება თუ ქრატს ქონი მოაკლდა, კანდელს—ზეთი, პატრუ-ქი ვერ აინთება, სიტბო-სინათლეს ვერ გამოსცემს.

ეს ცხადი ქეშმარიტება მხოლოდ ხელოვანთა მიმართ ირღვევა...

ხელოვნების ყოველი დარგის მუშაკნი სწორედ ამ „ქონს“, „ზეთს“ არიან მოკლებულნი...

განსაკუთრებით ჩვენი ცენის მუშაკნი არიან ამ მხრით მეტად მძიმე მდგომარეობაში...

მსახიობს შედარებით მეტი მოთხოვნილება აქვს, მეტი საჭრუნავი და, წლიურად თუ გავიანგარიშებთ, სულ უბრალო მოხელის, ბოვანო-მუშის ჯამაგირიც არ ეძლევა...

და ასეთ ყოფაში ხელოვანმა როგორ უნდა ანათოს, ოდეს თვით მასში ცივა და ბნელა?.. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვირწმუ-

ნათ, რომ ხელოვნების მსახურთაც აქვთ კუჭი, ჰყავთ ცოლშვილი და თუ გვსურს, მათი შემოქმედება მაღალი იყოს, სცენაზე თამაში—ნამდვილი ღვთისმსახურება, სიმშრე-გაპირების აზრდილიც უნდა მოვაშოროთ...

ჩვენი სცენის მუშაკნი, ვინ არ იცნ, რომ წელს მძძაფრ პირობებში მოექცენ, — მიუხედავად ამისა ქუთაისში მაინც თვით მსახობით დაიწყეს სეზონი და თბილისშიც, ბევრი დაბრკოლების შემდეგ, შესდგა დასი, რომელიც, სახალხო სახლის სცენაზე თვეში სამს წარმოდგენას გამართავს...

ანგარიშიში მისაღები არ არის საკლებო წარმოდგენები, რომლებიც ბევრს ვერც თვით მსახობით შესძენს და ვერც ხელოვნებას...

ჯერჯერობით ისევე სახ. სახლის სცენაა, სადაც შეიძლება, ცოტად თუ ბევრად, რიგიანი წარმოდგენები დაიდგას...

მაგრამ თვეში სამი წარმოდგენის შემოსავალი რას გასწვდება ოცი კაცისაგან შემდგარ დასს?!

მართალია, ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობამ დასს თვიურად დაუნიშნა ასი თუმანი და შემოსავლის ნახევარი (მხოლოდ სეზონის განმავლობაში), მაგრამ ეს რა იქნება, თუ თვით საზოგადოება თანაგრძნობით არ მოეკიდა სამშობლო სცენის მსახურთ და თავისი ბეჯითი დასწრებით შემოსავალი არ გააძლიერა?

ქუთათურმა დასმა სულ მცირედი თანხით (ქუთ. დრამ. საზ-ის შემწეობა) დაიწყო, საქმეწარმოდგენებსაც სისტემატიურად სდგავს, მაგრამ შემოსავლის სიმცირით ვერც მხატვრულ მხრის გაუმჯობესებას ახერხებს, ვერც მონაწილეთა სათანადოთ დაკმაყოფილებს...

დასს უკვე თხოვნა შეუტანია, სადაც ჯერ არს, სახსარი აღმოუჩინონ, ან თეატრი დაუთმონ შეღავათიან ფასებში...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ქუთისის დრამ. და სხ. კულტ.-ფინანსიური საზოგადოებანი სამშობლო ხელოვნების პირდაპირ და დაუზარელ მუშაკთ ყოველნაირად ხელს შეუწყობენ, რომ მათ წლებადეულ ფრიად მძიმე პირობებში ღირსეულად შეასრულონ დღესი მაღალი ეროვნულ-კულტურული მოვალეობა...

# რკალეები

მეტყველი მღუმარება

კარგა ხანია მღუმარებამ მოიცვა ჩემი სული; აი, სწორედ ისეთმა მღუმარებამ, რომელიც მეფობს დაყუდებულ ბერთა საკანში, როცა ისინი ყვითელ, მაგრამ წმინდა, სქელ ყდიან სახარების ფურცლებს შლიან და თაფლის ხანთლის სურნელებას ყნოსვენ.

მომავალ, უკვდავ ცხოვრებაზე ოცნებობენ თეთრ-წვერა მოხუცი და ლოცვა მათი ისე წმინდაა და მოჩურჩულე, ვით უდაბნოს მონასტრის წყარო.

მოთმინება, აი საფანე მათის სულისა.

მეც მღუმარებას შევეუპყრივარ, მაგრამ მას მოუთმინლობის იერი გადაკვრია.

ჩემი მღუმარება მარადის აღმოხეთქას ლამობს, მაგრამ მევე ვარ მისი ჯაჯათი.

სთქვი, სთქვი რამე... რამდენი ხანია აღარ გსმენია, მეუბნება უცნობი მეგობარი, მაგრამ ჩემი მღუმარება მაინც შეურყეველია.

მას არ სურს გატყდეს, რადგან კარგად უცდია სიტყვის უძღურება.

აი, იმ სიტყვებისა, რომლითაც ჩვენ ყოველ დღიურობაში ვვარჯიშობთ, რომლითაც მე არა ერთხელ გამითენებია მეგობართან საუბრობაში.

ვმღუმარებ, მაგრამ ერთი კი ცხადია: ეს მღუმარება მწუხარების შვილი არაა, იგი წარმოშვა ბედნიერების, დიდი სიხარულის მოლოდინმა.

აი, სწორედ ისეთის, რომელსაც მოვლის უდაბნოს ბერი, ვერცხლის წვერებით შემოსილი.

მხოლოდ ეს კია, რომ იმ ბერის ბედნიერება უფრო ფანტასტიურია, ირაციონალური...

მე კი ვიცი, რომ ჩემი ბედნიერების საათი პალე დაჰკრავს, იგი თვალით სახილველი სინამდვილეა; იგი ისე ახლოა, რომ მე ხელს ვიწვდი მისკენ.

ეს ჩემი მღუმარება არ არის ძველებური სიჩუმე, რომელსაც მრავალ წერტილით ვსახავდით.

იქ არ ვიცოდით, რა გვინდოდა, რა უნდა გვეთქვა—სად იყო გამოსასვლელი?

აქ ვიცით, რომ მოველით ცხოვრების განახლებას, ვიცით რაც გვწადია, მაგრამ ამ დიადის წინაშე ყოველი ნაცადი სიტყვა მკრთალია და იგი მოკრძალებით ქრება მის ძლიერების წინაშე.

„დიდ ხანას განვიციდით...“

აი, რამდენად უძლურია სიტყვა ამ სიდიადის წინაშე. მაგრამ ჩვენ მოვსძებნით ახალ სიტყვას, თვით ეს სიდიადე გვასწავლის ახალ ენას, გასწმენდს და გადაადუღებს ჩვენს სულს, რათა მან ფართო მასშტაბით და ძლიერის ტემპით დაიწყოს დენა.

ვის შეუძლია ჩვენგან ილაპარაკოს ახლის ენით, თავისუფალ გმირის ენით?

კარგად უთქვამს მგოსანს: „ჩვენ ხომ მხალნი ვართ, ვით ქვეყანა ჩვენი მშობელი და ხობობივით თავსა ვმაღავთ ოცნების ბუქში...“

მთელი სიცოცხლე მონობაში გაგვიტარებია, უვნებო და უტყვე ოცნებას დაუღვეია ჩვენი ჯანი და ეხლა, როცა განთავისუფლების დღე კარს გვადგას, როცა არა სიტყვით, არამედ მთელის არსებით უნდა განვიგრძოთ სიდიადე თავისუფლებისა, გმირობისა, როგორ გინდათ გამოხატოთ ყველა ეს?

ვის ძალგით ილაპარაკოთ გმირის ენით?

რუსეთის ბოვანომ, როცა იგი წელში გაიმართა და თავისუფალი აღმაფრენა იგრძნო, მარტო ერთი სიტყვა სთქვა: „МХЪ-МА!“ (მ. გარკა).

აქ ისახება მთელი სტიქია მისი ნებისა, და ფუქსავატობა ყველა იმ ფრაზების, რომლითაც იგი წარსულში გვეტყოდა ხოლმე.

და ჩვენ, როცა პირველად მოხბილ წელს გავასწორებთ, მზეს შევხედავთ, მაგრად ამოვიზნენეშებთ და ვიტყვი: „ვახ, დედასა!...“

აი, აღსარების სიტყვები ახალ ცხოვრების ზიარების წინ. ბნელში აღზრდილნი, სინათლეს დავეჩვევით და იგი სინათლე გვასწავლის ახალ, ღია ფერებს, ცხოველს სიტყვებს.

მელი ენერგია მომავალ ცხოვრებისა ამ სიტყვებშია, რომლებიც სახავენ ძველის დარღვევას და დათრგუნვას, ახალ გზას.

„აქტიური ნილილიზმი, მიმართული ოღვევისათვის—წინამორბედეა ახლის აღმოშენების.“ (ნიცშე).

შაბლონად ვაქციეთ მღუმარება, უძლურების სინონიმად გაეხადეთ იგი და, ამის გამო, ჩვენ არ ვიცნობთ ახალ, ცოცხალ მღუმარებას.

უკანასკნელი აქტიობის მღუმარებაა, რომელიც ყოველ მკვეთრ სიტყვაზე უფრო მეტყველებს. იგი არ არის პოეტური სიჩუმე. ქვრეტის სამყარო, არამედ იგი მღუმარე ლოცვაა იარაღში ჩასხმულ გმირისა ბრძოლის წინ.

რა კარგია, აქტიური მღუმარება. რა კარგია მზადება ახალ ცხოვრების, განთავისუფლების წინ!..

მაშ ნულარ გიკვირთ, რომ დიად ხანის წინ სდუმს ჩვენი ხელოვნებაც, ვით ზღვის ზედაპირი ქარიშხლის მოლოდინში...

აკაკი პეტრუაძე

## ბრძენი მოქანდაკე

(ლევანთა)

ყმაწვილობიდან სიბერემდე ის ერთ მშვენიერ ქანდაკებას ჰქმნიდა. ყმაწვილობიდან სიბერემდე ის ადგა ერთ მარმარილოს და ცდილობდა ამ უსულო მარმარილოში გამოეხატა თავისი სიკეთე და სიყვარული.

მან დაასრულა თავისი მშვენიერი ნაშრომი და ქუჩაში გამოიტანა... მაგრამ სანამ ხალხი შეკრებებოდა, თითონ მოეხვია ქანდაკებას და მის ოთხკუთხე საფეხურზე მიიძინა საღათას ძილით.

ბრძენი მოქანდაკე მკვდრათ იცნეს და დასაფლავეს ზღვის ახლო, მთის წვერვალზე, აკლამაში და ზედ სამახსოვროდ დაადგეს მისი ქანდაკება, რათა ზღვისა და ხმელეთის მგზავრებს დაენახათ ზეალმამფრენი ნაწარმოები.

ერთ უბედურ საათს მოქანდაკეს გამოეღვიძა და იგრძნო თავისი საშინელი მდგომარეობა.

ის გაათკეცებულ ძალით მისწვდა მარმარილოს სახურავს და შეარხია... მაგრამ ნაცნობმა ჩუქურთამებმა შეაკრთო გული. აქ შეჩერდა და აკანკალებული ხელით მოუსწვა ნაცნობ მარმარილოს.

ბრძენი დარწმუნდა, რომ ის სახურავი თვისი ხელით ქმნილ ქანდაკების საფეხურია... ბრძენი ჩაფიქრდა და მიხვდა, რომ იმ სახურავის გადაგდებით, წაიქცეოდა მისი შექმნილი ქანდაკება და დამტვრეოდა.

მას შეეძლო ამ საშინელ წუთებში მოეკრიბა იმდენი ძალა, რომ დაბრუნებულიყო მზის და სიცილის ქვეყანაში, მაგრამ მსხვერპლად უნდა მოეტანა თავისი სიკეთის და სიყვარულის გამომხატველი სახე...

უნდა ემსხვერპლნა მთელი თავისი სიკოცხლის ნაშრომი, რომელსაც ჰქმნიდა შემოდგომის სევდიან ღამეებში და გაზაფხულის ნათელ ცისკრებში.

ის ნაშრომი, რომელსაც ჰქმნიდა ობლად თავის ღარიბ სადგომში სულ ყველასაგან უარყოფილი და დაცინებული. ის ინსტიქტურად მაინც მისწვდა სახურავს, მაგრამ ხელი აუკანკლდა და გაშეშდა...

სიკოცხლეს ვინ დააფასებს!

ძნელია განსაზღვრო სიკოცხლის ფასი.

ის კიდევ მისწვდა სახურავს, მაგრამ ისევ გაშეშდა; მან იცოცხლა ქანდაკების ფასიც...

რამიც მისი სული გამოიხატებოდა უნდა დამტვრეს.

ღირს კი ამდენად მისი სიკოცხლე?

ის მოხუცია, თვალს და ხელს შუა მიიპარება.

იმოდენა ფასით უნდა იყიდოს რამდენიმე სევდიანი ღღე!

ის მოხუცია, სიმაგიეროს ვერ შექმნის და მხატვრული აჩრდილი მოუწამლავს შემოკლებულ საათებს

და შემდეგ ადამიანთათვის ვერ აღადგენს სიყვარულის და სიკეთის მომხიბლავ სახეს.

ბრძენი უცებ მოწყდა და დასუსტდა, მოიკუმშა და შეძრწოლდა აკლდამაში.

ის ცდილობდა თავი შეეკავებინა და არ ჩაედინა სიგიჟე. მას ესმოდა, როგორ მაგრად უძგერდა გული, როგორ ერერდა უძღურება... ჰაერი არ ჰყოფნიდა. . თანდათან გრძობდა სიკვდილის მოძალებს...

გათავდა...

ზღვის პირა მთის მწვერვალზე იდგა ქანდაკება სიყვარულისა და სიკეთის გამომხატველად...

ძლიერმა ხელმა საიდუმლოდ გამოსახა იგი.

მან საშინელი საიდუმლო მოახდინა თავის ფერხთა ქვეშ.

სურო

## მ ჯ ა ხ ი ს მ ა მ ა

(სურათი გურიის ცხოვრებიდან)

— სა მიხვალ მამა? მე ლას მომიტანავ? პულის მომიტანავ? პეხის?

გტიკტიკებოდა პატარა ცვეცე მამას, რომელიც ამ დროს ხურჯინში ტიკტორას უკრავდა თავს და თან ზემოდან ვაშლებს აწყობდა. რომ არავის შეემჩნია, თუ ხურჯინში ტიკტორა იდო.

— ყველაფერს მოგიტან, შვილო, ყველაფერს, თუ გზაზე არავინ დამიპირა და ცოცხალი დაგბრუნდი. შენ კი ახლა დაწვევი და დაიძინე, — ალერსით უთხრა ნესტორ ფიქრიანიძემ თავის პაწია გოგოს და შემდეგ იქვე მდგომ ცოლს მიუბრუნდა: — მეიტანე შენ იგი ქალი და ყველი, ჩავდებ ბარემ და დილას მზათ შექნება.

— მე შენ მოსლამდი ვერ შევისვენებ... ხომ იცი რაფერი დროია... ნეტაი სულ არ წახვიდოდე... რაცხა გული არ მიშობა ხელე შენს ბათომში წასვლას... — მზრუნველობით უთხრა ქმარს ესმამ და გაზეთის ქალაქში გახვეული ვახშამზე ნარჩენი ქალი და ყველი მიუტანა.

— ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს... მე კი ძალიანს მიშობა გული!.. მარა ამ ბაღებს რას აძლევ, ხულა\*) რომ გამოგიცალიერდა? ოდნავ დამცინაფი და თან მწუხარების ღიმილით უთხრა ცოლს ნესტორმა. — ერთი ჩატინა, თვარა მუშტარი კაი მყავს; თითონ პრის-

\*) ხულას — ბედელს ეძახიან გურიაში.



ტავმა მითხრა, თუ ჩამოიტან, ორ მანას მოგცემ ბოთლშიო.—სთქვა ნესტორმა და მაგრად მოუკრა ხურჯინს თავი. შემდეგ ტანზეც არ გაუხდია, ისე მიიძინა შეილების საფერხელთან, მერე ფრთხილად წამოდგა, სველი ხელი ნამძინარეგ თვალებში ამოისვა, თავზე ჩაბაღახი დაიხურა, ტიკპორიანი ხურჯინი მხარზე გაისწორა და მიძინარე ცოლშვილს თვალი გადაავლო; ვეღარ მოითმინა და პატარა ცეცეს ხუჭუჭა თავზე აკოცა; მერე კრაქი დააქრო, ფეხაკრეფით მივიდა კართან, წუთს ისევ მოტრიალდა, უნდოდა ცოლისათვის ეთქვა: მე მივდივარ და ქკუთ იყავიო, მაგრამ ისევ გადაფიქრა, ფრთხილად გაალო და მიხურა კარი, იქვე სახლის წინ მიყუდებულ ჯოხს ხელი წამოავლო, ღმერთი ახსენა და გზას გაუღდა.

ნესტორის წასვლა არ გამოეპარა მხოლოდ მურიას, რომელიც ტორტმანით და წკმუტუნით ეღობებოდა წინ საყვარელ პატრონს, თითქოს ეუბნებოდა: ნუ წახვალ, თორემ უბედურება შეგემთხვევაო.

— შინ მურია, შინ... წადი შინ.— ნელის ხმით უთხრა ნესტორმა თავის ოჯახის ერთგულ დარაჯს და კიშკარი მიიხურა. ქვეყნა პირუტყვი ცოტახანს უტკეროდა მიმავალ პატრონს და მერე სახლისაკენ გაქანდა.

ნესტორ ფიქრიანიძე კი თავის სახლკარს და სოფელს თანდათან შორდებოდა, მიდიოდა ფრთხილათ, მარა ჩქარი ნაბიჯით.— „სტანციაში“ რომ ისე ჩევიდოდე, გზაში არავინ შემხთებოდეს, მერე აფერი მიქარსო“, ფიქრობდა და თან ცალი ხელი არაყით საესე ტიკპორაზე ჰქონდა შემოხვეული, თითქოს

ეშინოდა— არავინ წამართვასო; მეორეში კი ჯოხი ეჭირა და ისე მიაბიჯებდა. მთვარიანი ღამე, მას უადვილებდა გზაჯვარობას, მოკრიპლებული ლურჯი ცის გუმბათი ლაქვარდით იყო მოქვედილი.

ნესტორს ძალიან უყვარდა ასეთი ღამე. რა კარგია ქვეყანა, აღამიანი რომ არ აფუქებდეს ამ მშვენიერ ქვეყანაში ცხოვრებას... ფიქრობდა ნესტორი. რა მშვენიერი ზაფხულივით ღამეა... მე კი შეშინია... რატომ? ვის



რა დაუშავე, ვის რა მოვპარე? ჩემი ნაშრომი მიმაქ გასაყიდათ, ვის რა ხელი აქ? არა, „არ შეიძლებაო“ შეუბნებია... რომ დამიჭირონ, ციხეში ჩამაგდებენ... ღვინო ვერ გავყიდე, ნურც ოტკათ გამოვხთი?... ბაღნები რაით შევიწახო? სხვაგან წავედი, სამუშაო ვერ ვიშოვნე... შინ მოვედი, დღე დამე გავასწორე და ათი ფუთი ქაღი ვერ მოვიწიე... ხან მეტისმეტმა გვალვამ გააფუჭა და ხან მეტისმეტმა წვიმამ!..

ამ ფიქრებში იყო გართული ნესტორი, რომ ცხენებს ფეხის ხმა მოესმა.

— Дорогу! — შეჰყვირა ნესტორს გაჯავრებულმა მეეტლემ და რეზინიანი ეტლით გვერდით ჩამოუქროლა. ნესტორმა მთვარის შუქზე დაინახა, რომ ეტლში ვიღაც ყვითელ ფოლაქებიანი და რუსულ ქუდებიანი კაცები ისხდნენ.— ღმერთო, შენ გამაღლობ, რომ გადავჩრი, თორემ რო ვაეგოთ, რა მიმქონდა, ხომ დავიუღუპებოდი.

გათენდა და ნესტორიც ჩავიდა საღვურზე. ხურჯინი ერთ ნაცნობ მედუქნესთან შეინახა, რადგანაც საღამომდის ბათუმის მატარებელი არ გამოივლიდა. მანამდე ის ყურს უგ-

დებდა აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფათ: შეკრებილ ხალხს, რომელიც ომის შესახებ მსჯელობდა და გაზეთებს კითხულობდა. ნესტორსაც აინტერესებდა ეს საკითხი, მაგრამ ომის ბოლო როგორი იქნებოდა, ამის თქმა არავის შეეძლო.

— გერმანიას, ჩემის აზრით, ვერავინ დასძლევს, რადგანაც მისი ტექნიკა უმაღლეს წერტილამდე ყოფილა განვითარებული. — ამბობდა ერთი.

— რას ამბობ, კაცო, რუსეთის ურიცხვ ჯარს ვინ გაუძლებს, სხვა რომ არაფერი იყოს, გერმანიას რუსეთი შიმშილით ამოხოცს. — უმატებდა მეორე.

— ყველა, ყველა, მარა იგი ბერი თათარი რაღას ფიქრობს, რეიზა მოატყუებია ასე გერმანიას თავი? — იკითხა ვილაცამ.

— თათარი თქვი შენ და საქმე კი გაგვიკვირა, მაგას თუ ამდენი შიეძლო, არც მაგი შეგონა. — სიტყვა შესამემ.

— ღმერთმა დაიუაროს, მარა, რომ ღმერთი გაუწყლეს და შემოვიდეს, მშვიდობიანი მცხოვრებლები რა ვზას უნდა დაადგოს? — იკითხა ჰირველმა.

— რა ვზას უნდა დავადგე, ორ-სამს მანც კი გვეიძვანიებ წინ, სულ რომ ჯობით გაუტეხო თავი... რა უნდა ჩვენში ურჯულოს — სიტყვა ვილაცამ.

— არა ძმაო, მე ვერ გეთანხმები მაგაში, უბრალოთ, რომ ცოლშვილი ავაწიოკებოთ, ეს სისულელე იქნება, დათვმა რომ მოგერიოს, ბაბე დაუძახეო, ნათქვამია. მერე ვინ იცის რას მოგვიტანს მომავალი, ჩემი აზრი ასეთია და ისე თქვენ იცით, — ამტკიცებდა მოლაპარაკე ვილაცას კიდევ უნდოდა რიდაცის თქმა, მაგრამ ამ დროს სადგურის ზარის წკრიალი მოისმა, რომელმაც მგზავრებს მატარებლის გამოსვლა ამცნო. ყველამ შეწყვიტა ლაპარაკი და თავიანთი ნივთებით სადგურისაკენ გაეშურენ ბილეთების ასაღებად. მათ შორის იყო ნესტორიც თავისი ხურჯინით. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელიც გამოჩნდა, რომელიც გველივით მოიკლაკნებოდა და მიხვეულ-მოხვეული რკინის გზაზე, თვალფერს ხარივით აბრიალებდა, ძლივს ქშინავდა.

— Дальше, дальше... НѢТЬ ТУТЪ МѢСТА, — მოისმა კანდუქტორის ხმა და ხალხიც

თავისი ბარგი-ბარხანით მატარებლის ბლოსკენ წავიდა. უნდოდთ ჩქარა დაეჭირათ ადგილი. ნესტორიც მოთავსდა ერთ კუთხეში თავის ხურჯინით, მაგრამ თავს ერთობ უხერხულათ და მოუსვენრად გრძობდა, რადგანაც ბილეთი არ ქონდა, თან ხურჯინის ეშიწონდა... კანდუქტორმა ბილეთები გაუსინჯა ყველას, ნესტორს კი შემდეგ სადგურზე უფროსთან წარდგენას დაემუქრა. კარებში გასვლის დროს ნესტორმა რაღაცა უთხრა კანდუქტორს, რის შემდეგ ის თან გაჰყვა მას თავისი ხურჯინით.

— აჰა, ეს ბოთლი გამიმსე — ეუბნებოდა კანდუქტორი თავის პატარა ოთახში ნესტორს. უკანასკნელიც სისწრაფით უხსნიდა თავს ტიკქორას.

— უჰ!.. რაის სიმავრე ყოფილა! ქაქის არის? იკითხა კანდუქტორმა და არაყს ვაშლიც ზედ მიაცოლა.

— ღვინის, ბატონო, წმინდა ღვინის.

— ეს კარგი, მარა კანტალიორმა რომ ჩამოიაროს, მაშინ რას შობი? — შეეკითხა ნესტორს კანდუქტორი,

— მიშველე, ბატონო, რამე: ხომ იცით ფული რომ შქონებოდა, უბილეთოთ არ წამოვიდოდი. აქეთობას ბილეთსაც ვიყიდი და პატივისცემასაც ვადვიბთი.

— მაშ კარგი, იჯექი აქ და თუ კანტროლი ჩამოჯდა, გაგაგებინებ. ამ სიტყვებით კანდუქტორმა პატარა ოთახის კარები მიხურა და ნესტორი შიგ დასტოვა.

— რა მეშველება, რომ შამოვიდეს ის ვანცხა კანტროლია. ხომ დევილუპე. — ფიქრობდა ნესტორი და გაჩენის დღეს იწყებოდა. თან რამდენ ფუტის ხმას გაგონებდა, შიშით იტყოდა და კარებს მისჩერებოდა. აი ესეს არის შემოვა ვილაც კანტროლია, უყვირებს ნესტორს, ხურჯინს წაართმევს, ოქმს შეუყენებს, შემდეგ ხიშტებიან სალდათგბს გადასცემს და ციხეში გაგზავნიან... ნეტაი არ წამოვსულიყავი... ესამაქ ქე დამიშალა... ვაიმე... რავე დავღუპე ცოლშვილი. — ფიქრობდა ნესტორი, მატარებელი კი უდარდელად მირაზრახებდა ბათომისაკენ; ხან ტყეში შესრიალდებოდა გველივით, მარა ისევ მალე გა-

იმინდვრებდა; აგერ ზღვის პირს მიუახლოვდა და ისე დაუპირდაპირდა მას, თითქოს ეს არის შიგ ტალღებში გადაეშვაო, მაგრამ მარდათ აუხვია გვერდი და პატარა კლდეს მოეფარა, მერე ისევ ზედ კიდეზე გადაადგა აბობოქრებულ ზღვას, რომელიც თითქოს ვილაკას გაუჯავრებიაო, პირიდან ცოფს ყრიდა, ტალღებს ნაპირებს ახეთქებდა, რის გამო ურიცხვი ვერცხლის ფერი წინწყლები შორს იჟანტებოდა და მატარებლის ფანჯრებზე ეპყურებოდა. დაუღალაემა გველეშაპმა ერთი ლონივრათ დაჰკივლა და საშინელი რახრახით ხვრელში შეძვრა... უცებ მოწყდა ქვეყანას... მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ ისევ გამოჩნდა, ერთი წამით სული მოითქვა და ისევ გაქანდა.

— აი ღმერთო... მგონია ტურნელიდან გვევდით. აწი ბევრი აღარ აკლია ბათომში ჩასვლას, — გაიფიქრა ნესტორმა და შიში თანდათან გაეფანტა, თან ტიკტორას დაუწყოს სინჯვა, თავი გლახათ ხომ არ მომიკრავს — არ დამეჭკვისო. „ცოტა კიდეც და „ოტკის“ მაგიერ ფული შექნება ჯიბეში“, ერთი წამით ისიც კი გაიფიქრა ნესტორმა, თუ სიმინდს გარდა რა ეყიდა ცოლშვილისათვის, რომ ამ დროს აჩქარებული ფეხის ხმა მოესმა და იგიც კარებს მიაშტერდა.

— არიქა... კანტროლი მოდის... გადახტი თუ შევიძლია... სტანციაც ახლოა... — მიაძახა მას კანდუქტორმა და კარებისაკენ უჩვენა. ნესტორმა ელვის სისწრაფით დასტაცა ხურჯინს ხელი და კარებთან მიარბენია, კარი გამოაღო და შეჩერდა, რადგანაც მატარებელი ჯერ კიდევ ჩქარა მირბოდა და არც სადგური იყო ახლო.


— აბა ჩქარა!.. ჩქარა, შე ოჯახ დასაქცევო, თორემ დევილზეც, — კვლავ შესძახა კანდუქტორმა. ნესტორმა ხურჯინი გადაადგო და თითონაც გადახტა...

— Чортъ васъ побралъ... ეშმაკმა წაიღო თქვენი თავი. — მიაწყველა ნესტორს კანდუქტორმა, კარები მიხურა და ვაგონში შებრუნდა.

— Билеты, господа, билеты... მოამზადეთ ბილეთები, — იძახდა კანდუქტორი და

დიდ ფარანს კანტროლს უნათებდა, რომელიც ისე დაკვირვებით და ღიანი გაშომეტყველებით სინჯავდა ბილეთებს, თითქოს მძიმე ფილოსოფიური საკითხი იყო გამოსარკვევი.

მატარებელმა უკანასკნელათ დაიკივლა და გაჩერდა ბათომის სადგურზე, საიდანაც მგზავრები რიგ-რიგად გამოვიდნენ და თავიანთ გზას გაუდგენ. ვერ შესრულა მხოლოდ თავის ნატვრა ნესტორ ფიქრიანიძემ: ის მატარებლიდან გადმოხტომის დროს ბოძს დაეჭა-



კა თავით და იქვე გარდაიცვალა. ნესტორი მეორე დღეს ნახეს რკინის გზის მოსამსახურებმა თავის ხურჯინით, რომელიც ერთმა იმათგანმა იცნო, როგორც მეზობელი, კუბო გაუყეთა და შინ წამოასვენა.

კონკის ძველებში გახვეული ცოლშვილი, გულშემზარავი ბლავილით შემოეხვია ნესტორის კუბოს...

მხოლოდ პატარა ცეცე ვერ მიხვედრილიყო, რაში იყო საქმე... დაკვირვებით უცქეროდა მამის გაცივებულ სახეს, რომელმაც „პურის და პეპის“ მოტანა დაპირდა გუშინწინ, მაგრამ ახლა კი ზედაც არ შეხედა მას.

ს. რემონიძე

**ფ შ ა ვ ე ლ ი**

ხელ-ჩართულ ომში მოუკლავო  
ლალი ვაჟაკი ძთებისა;  
მის სახელოვან გმირობას  
სანთელიმც დაენტებისა...

სხვის მიწა-წყალზე, სხვის ჯარში,  
შვილებს უკლავენ ფშაველთა;  
მტერი კი, კარზე მომდგარი,  
სისხლით რწყავს ჩვენთა მთა-ველთა...

გ. ქუჩიშვილი

# ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი

მ თ ზ ა რ ე

ჩუმად! ჩუმად! ვიღაც უცხო, უცნობი და უხილავი  
ჩემს სარკმელში იხედება, მთვარის შუქის დამჩრდილავი.  
ჩუმად, სიოვ! ღია სარკმელს გარს ნუ უვლი ასე ახლო!  
არ დამიფრთხო მოჩვენება, იქნებ სულით ცას ვეახლო!

ვიღაც უცხომ; უხილავმა; ვგრძნობ, თვალეზი მომაჩერა!  
მე ხომ სარკმელს არ ვუტყერი—რომ აქ არის—მანც მჯერა!  
რალაც ოდნავ აშრიალდა, მესმა—თითქოს დამიძახა,  
ჩემს პირდაპირ დიდ სარკეში ვიღაც თეთრი ჩაისახა.

მთვარემ სხივი თითო-თითოდ მღუმარ კედელს ააცალა  
და ოთახში დაბინავდა უცნაური რალაც ძალა.  
თითქოს ფარდა ჩამოეშვა, ჩრდილი ფრთხილად მოჰეპარა.  
რად დაბნელდა ნეტა ასე?—ხომ არავინ მომეფარა!

ვხედავ: სარკე გაიშალა, სარკე თეთრად დაფერილი,  
და გამოჩნდა ტბა ცისფერი, თეთრ გედებით დასერილი...  
ტბას დასცქერის ცის თალიდან ვარსკვლავების ჩირალდნები,  
ცას ხომალდი ამკობს ღრუბლის, ხომალდს—თეთრი იალქნები.  
ჰა, დაიმსხვრა ცის ხომალდი, ვარსკვლავები ძირს დასცვივდა  
და იისფერ ტბის ტალღებზე თეთრ ვარდებად ატივტივდა...  
ანგელოსნი ჰკრეფენ ვარდებს და კონავენ ცისფერ სხივით...  
რეკა ოსმის საღვაც ჩუმი, ტყის ფოთოლთა ჩურჩულივით...

ს. შაქუცი

## გ ა მ ი ს მ ა ვ ლ ე ნ ი \*

— ვინა ხართ თქვენა, თავ-დახრით მდგომნა? —  
თქვენ სახეს ფერი მთლად დაუკარგავს  
და შაც წარბების მრავალი კვანძიც  
დმერთის გამეიდევალ იუდისას ჭკაფს;  
სელებსა ჭმაღავთ ქურდულ ცახცახით,  
თქვენი მზერა კი ამხელს სულის წუღუნს,  
შას რადღ ბნელი ცოდვა მიუძღვის  
და სინანულით ეძებს სიბრალეულს.  
— ვინ ხართ, ვინა? —

— ურწმუნა შვილინი:

მონათღუდნი ვართ ბოროტ სასულით,—  
ჩვენ შამა გვეყდა დმერთისა დარი  
და ის მოგვკალით საკუთარ ხედიოთ! —  
სიკვდილის ვამსაც ჩვენა გვლოცავდა,

და როს დადუმდა იმასი ენა,  
მამის ჭრილობაც აუშეტველდა  
და სინანულით გვლოცავდა ჩვენა...  
სისხლი ჩვენს ხელებს ლაქად მოეცხა  
და იგი გვდევნის, ვით შეჩვენება!  
მამის მკვლელნი ვართ!—მისი აზრდილი,  
სიზმარშიც გვამხელს და გვეჩვენება!  
სული დამძიმდა ცოდვის სასწორზე  
და ჩვენს ვაებას ვიათასკეცბთ,  
შემცოდენი ვართ!—შენდაბას ვითხავთ!—  
მამის მკვლელნი ვართ!—შენდაბას ვეძებთ!..

ს. ფაშალიშვილი

## ც ა მ რ ი ს ხ ა ნ ე ბ ს ...

ცა მროსხანებს... მზის სხივები  
ღრუბელთ გუნდში მიიძალა,  
და საღამოს წყნარი სიო  
მკაცრ ქარიშხალს ენაცვალა...

\*) ილია ჭავჭავაძის სახეიშო საღამოზე წაკითხული ავტორის მიერ ხარჭუხის სახ. კლუბში 27/X.

# თბ. ქართ. დრამატ. დასი.

სეზონი 1915/16 წ.



ტასო აბაშიძე



† ვასო აბაშიძე



ვ. ჩერქეზიძე



ნ. დავითაშვილი



ვალერიან გვინია



კ. ანდრონიკაშვილი (რეჟ.)



ა. იმედაშვილი



ნ. ჯავახიშვილი



დ. მგალობლიშვილი



ანეტა კიკიძე



ნ. თოიძე



† გ. არადელი-მშენელი



ა. მანშიაშვილი



† ბ. აბოხპირელი



გ. გვინთაშვილი



ი. თარალაშვილი



ი. კვიციანი



მ. სარაული

აჰა, გულსაც სევდა იპყრობს,  
 ტანჯვის ღმერთმა ფრთა გაშალა:  
 წარსულ დროთა ტკბილი გრძნობა  
 დღეს ძირ-მწარად შეიცვალა...  
 კრემლის ღამეს მიემატა  
 უნუგეშო ტანჯვის დილა,

**ს ე მ დ ი ს ზ ლ ა კ ა რ ი**

(ფ—ს)

ბულბული ვარდს ეშხით შებჟეფს,  
 ციურ ჰანგებს ამხვრევს გრძნობით;  
 ვარდი ვნების ტალღებად ჩქეფს  
 მთნე პეპელის ფრთებ-ქვეშ ტრფობით...  
 და მგონანმა ეკალს გულში  
 დააგო და აღარ გალიობს...  
 პეპელა-კი ჟინ-აღძრული  
 ზამბახის მკერდს დაფრთხილობს.

ეგ ზღაპარი სევდით საესე,  
 საესე ფარულ ძლიერებით,  
 შენს რვეულში მოვათავსე,  
 დასტები შენის ცბიერებით.

ცვარ-ნამი

და განვლილი ნეტარება  
 ოხვრა-კვნესით დაიჩრდილა...  
 მაგრამ მჯერა, მოიღარებს  
 ცა მრისხანე, პირ-უკმეხი,  
 გამთელდება ისევ გული,  
 სევდა-ქმუნვით განატეხი...

სანგან

**მ ზ კ ა რ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე**

დამიქენა ვარდი სიყმაწვილისა,  
 ჩემ ყრმობის ხესაც სცვივა ფოთოლი;  
 სჩანს მეც მეწვევა შემოდგომის დღე,  
 სჩანს მეც დაგუქნები მწირი ობოლი.  
 და ისე შთაველ შევ-ზნელ საულაკში,  
 არავის ვეტყვი: „მშვიდობით გტოვებ!“  
 რადგან ვიცი, რომ არავინ მყავდა,  
 სიკვდილის ჟამსაც ვერავის ვპოვებ...  
 მაგრამ, ოხ, ივდით, თან მიმდევს შენი  
 უმანკო ტრფობა და სიყვარული,  
 და გულით მიმაქვს ეგ თვალთა კრთომა,  
 სიკვდილის ფერით შემოპარული.  
 გაივლის ჟამი და ქვეყანაზე  
 თვით ჩემი ძვლებიც აღარ იქნება,  
 ვინ იცის ახლა ჩემსა მაგიერ  
 რომელი თინა ჩამოიქნება!..

ი. დაროშვილი

\* \* \*

სღუპდა ხმელეთი კარგა ხანს, არსით იხმოდა ჩქამია...  
 ცამ გადისურა ქვეშიდამ მძიმე ღრუბლები შავია:  
 თავს დასტრიალებს ქვეყანას ზარ-დამცემელი ჟამია,  
 იქეჭა, ცამ დაიგრგვინა, ზეავს დაეჯახა ზეავია...

შამოიქედა ნისლეები, ჟამი რამ დადგა მწარია,  
 კლდე და ღრე თანასწორდება, ცახცახებს მთა და ბარია,  
 ჰაერით ისმის ღრიალი, მიჰქრის და მოჰქრის ქარია,  
 მზე გამუქრება მთვარესა— ეხლა ხომ მოგასწარია!..

აღელვებულა ხმელეთი, დიდი რამ ცოდვა-ბრალია,  
 გრიალებს თოფ-ზარბაზანი, ჰაერში ელავს ხმალია,  
 ქვეყანას ცეცხლი მოედვა, ცას წვდება მისი ალია,  
 უმანკო კრავი შიგ იწვის, იმარჯვებს ბოროტთ ძალია!..

ქმარა, გვეყოფა, უფალო, გვაშორე ბედი მწარია,  
 კვალად მოგვფინე ის ძალი, იას ვერ სჩხვლეტდეს ნარია,  
 გაბრწყინდეს კიდით-კიდემდე, ნათელს გაელოს კარია,  
 გაჩაღდეს წმინდა ლამპარი, ჰყვაოდეს მთა და ბარია!..

გ. სტეფანწმინდელი

ი შ ა თ

(ხალხურ ვილოზე)

ძიძგი-ძიძგი, მამალა,  
 წითელა და ნაცარა, —  
 აბა, თქვენში ვინ არი  
 კვირცხლი, მარდი, მაგარა?  
 შეგეტყობათ „ბრძოლის“ დროს, —  
 დაჰკათ ბუკი ნაღარა, —  
 გახხლით ქვეყნის ტინგიცი,  
 პლუტი, ტაკი-მასხარა?  
 ნუ ნაღვლობთ, მაგ „ბრძოლაში“  
 თუ ჩვენ ყველა დაგვცარა —  
 თუ თქვენ კინკლაობაში  
 მოყვრის გული შაზარა...  
 ძიძგი-ძიძგი, მამალა,  
 ძალა შეგწევთ აღარა!  
 თქვენმა გაუტანლობამ  
 ჩვენი მტრები ახარა!..

იაგო ტეტუნაშვილი

ბელი ქართლისა

ისტორიული ქრანთა 4 სურათად  
(გაგრძელვ. იხ. „თ. და ც.“ № 44)

VIII

მეფე გიორგი (მარტა) ჰქმნ. როგორ  
 გააფთრდა აქა?! როგორ დამცინა და შემარ-  
 ცხვინა ხალხში!.. ჰქმნ. (საჩუქე) დიახ!.. სხვა  
 გზა არ არის! ეს უნდოდა მამა ჩემს, ერეკლე  
 მეფეს, ეს უნდოდათ წარჩინებულთ თავად-  
 აზნაურთ! უკეთეს მოკავშირეს ჩემთვის, რო-  
 გორც რუსთა მეფე პავლეა, მე ვერა ვნახავ.  
 მარტო იმას ძალ-უმს დაიხსნას ქართლი გარე  
 მტრისაგან და შინა—ურიგობისაგან... იმის  
 მფარველობის ქვეშ ვიქნეი! (დაიხაქქეს)  
 ღმერთო მაღალო! მიშველე, მომხდე მოწყა-  
 ლების თვალით, რათა მე დავიხსნა ეს ქვეყა-  
 ნა, ხვედრი ღვთისა მშობლისა!.. ღმერთო, ნუ  
 მომკლავ, მანამდის არ შევასრულებ ჩემსა ოც-  
 ნებას და ანდერძსა ჩემსა... მაკურთხე მე უმ-  
 ცირეს მოყვასი შენი ამ დიადს საქმეში სამ-  
 შობლოს ჩემის განთავისუფლებაში, ღმერთო  
 ძლიერო! შენს წმიდა სამწყსოს შემოგავედ-  
 რებ ჩემსა სამეფოს. გულთა-მხილავო ღმერ-  
 თო, შენ უწყი რაც დღეს საქართველოს ქირ-

ნი მოადგა! მრავალი არის, უფალო, მტერი  
 წარმტაცი შენნი ცხოვარნის! (ამ დროს თა-  
 ხის კარებში გამოჩნდება მარიამ დედოფალი და  
 რა დაიხსნავეს, რომ გიორგი ქვადტულობს, ცოტას  
 შეჩერდება) ჩვენო ხელთამყრობელო, გვედ-  
 რებ—დადგინე დღეს საქართველო!

IX

გიორგი და მარიამ დედოფალი

მარიამ. პლოცულობს!.. ილოცე, ილოცე,  
 ჩემო გიორგი და ვევედრე ღმერთს მოხე-  
 დოს ჩვენს მწუხარებას.  
 გიორგი (მარამის ფეხის ხმაზე ფეხზე  
 წამოდგება) ოჰ, მარიამ! შენ აქა ხარ?... მიაშა  
 შენი მოსვლა ჩემი ღოცის დროს!.. შენ მრ-  
 ხვედი კეთილის განზრახვით თუ ისევე ჩემი  
 წინააღმდეგი იქნები?  
 მარიამ. შენთან ყოველთვის კეთილის  
 განზრახვით მოვდივარ და შენი წინააღმდე-  
 გობა კი მე არ შემიძლიან და არც ძალ-მისს,  
 შენ აიხირებ ხოლმე რასმე და...  
 გიორგი. არა, მარიამ, მე ახირება არ ვი-  
 ცი. შენი რჩევა ჩემთვის მუდამეჟამს ძვირფასი  
 იყო...  
 მარიამ. იყო?... ახლა კი არა?... ჩემზე  
 გული აგრე რად შეიცვალე?..  
 გიორგი. იმაზე შემეცვალა გული, რომ  
 მე და შენ მაინც ჯერ ვერ შევთანხმდით რუს-  
 თა მეფის მფლობელობაზე.  
 მარიამ. მფარველობა, რომელიც მამა  
 შენს სულითა და გულით უნდოდა და ახლა  
 შენც იმასვე სჩადიხარ, რომ...  
 გიორგი. მაინც რას იტყვი? რუსთა მე-  
 ფის სახელი განთქმულია, მეფე არის ბრძენი  
 და ქველი, რადგანაც ჩვენ და რუსნი ერთ  
 სარწმუნოებისა ვართ, მსურს მივსცე ჩემი მე-  
 მკვიდრეობა და ის მისცემს ქართლს კეთილ-  
 დღეობას!  
 მარიამ. რასა ბრძანებ, მეფე? ნუ გაა-  
 გონებ ხალხს შენს გარდაწყვეტილებას და  
 შენს საოცნებო სურვილს, ხალხს რომელიც  
 შენგან შეველას მოელოს და დახსნას განსაც-  
 დელისაგან... ჩვენი ბედი ჯერ იქამდის არ მი-  
 სულა, რომ დავჰპარგოთ ჩვენი თავისუფლე-  
 ბა... კარგად იცი კი, მეფეო, რომ ქარ-  
 ველი რუსთა ხელში იქმნებთან კეთილ-ბედ-

ნიერნი? ერთ-სარწმუნოება ჯერ არა-რასა ნი-  
შნავს, როდისაც ერთა თვისება სულ სხვა  
და სხვა არის... ვინ იცის როგორ შეითვი-  
სებს რუსი ქართველს და როგორ მოეცილება  
იმათი მთავრობა ქართველთა მოთხოვნილებას.  
მაშინ, როდენს ქართველს ამაოდ ჩაუვლის  
ყოველი კეთილი გულის თქმა, ყოველი კე-  
თილი წადილი და დაწყობილობა, თუ მფარ-  
ველი ვერ გაიგებს ქართველის გულს... არა,  
არა, გიორგი, ნუ იფიქრებ მაგაზე და მაგ  
სურვილს ნულარაგის ნულარ გაავანებ და  
შენი ერის დაუკითხავად, შენ იმისი ბედი არ-  
ვის არ უნდა ანდო, თვითონ შენ უნდა გა-  
ნაყო!

**გიორგი.** რასაცა ბრძანებ, ვგ ყველაფე-  
რი მე კარგად მესმის.. მესმის, რომ არა მაქვს  
უფლება აგრე მოვეცილო ერს, მაგრამ მე სხვა  
გზა არა მაქვს. ქართველთა კეთილ ღღეთა-  
თვის, აბა ამაზე უმჯობესი მე რა უნდა მო-  
ვაგვარო?... მე, მამა ერისა, გვირგვინოსანი,  
მე ვალი მადევს ვიზრუნო, რომ უკეთესს  
ბედს მივახწვენიო ერს. ამაზედ უკეთესს აბა  
სხვას რას მოვაგვარებ? ვითარცა კეთილი მამა  
ერისა, რომელსაც პსურს, რომ თავისი შეი-  
ლი თვისის სიცოცხლეშივე დაასახლკაროს,  
მეც ვფიქრობ უკეთესი შემკვიდრეობა დავუმ-  
ტკიცო... ძნელი არის, ძალიან ძნელი, სამე-  
ფოს ცხოვრება, როს იგი უქვერუტდეს ომსა  
დღითი-ღღე, თავისსავე სისხლის ნთხევასა და  
სიკვდილსა! არა, მარიამ, შენ ამაზედ უარი  
არ გეთქმის და დამეთანხმები, რომ...

**მარიამ.** განზრახვა შენი ფრიად მაკვირ-  
ვებს! შენ იცი, რომ ქართველებს არაფრათ  
მიანიათ არც სიკვდილი, არცა სისხლი და  
არცა უბედურება, თუ აქვსთ თვისს ქერკვეშ  
თავისუფლება!

**გიორგი.** ახ, თავისუფლება! განა კარგია  
ის თავისუფლება, როცა სისხლით არის შე-  
ღებილი, როს თავისუფლება ეს მიეცემა ერს  
მრავალთა ძმათა სიკვდილით?! არა! შენ ისა  
სთქვი თუ, რა უნდა ჰქმნას ჩემმა ერმა, როს  
ჰხედავს თავის დამპირებას, დამარცხებას  
მტრისა მახვილის ქვეშ?... შენ რა შეგიძლიან,  
შენ, ერის დღღოფალს, რა შეგიძლიან ერის  
მშვიდობისათვის და კეთილ-ღღეობისათვის?

არაფერი, დამიჯერე მე!.. აი, მივიღებ შენ  
ჩჩევას, გულში ჩავიმარხავ, დავიღუმებ ჩემს  
გულის თქმას, მაგრამ ამას კი გეტყვი, რომ  
ღღეს იქნება თუ ხვალ, ქართველთა ერს და-  
იცავს მხოლოდ რუსთა ხელმწიფე!

**მარიამ.** მე და შენ აქ ქართლის ბედს  
განვასამართლებთ, იქ კი, თვით ერთ ჩვენი,  
თავის სამშობლოს ქირისუფალსავით თავს და-  
სტირას და დაჰგლოვობს!.. შენ არა გაქვს  
უფლება ერის ბედი კამათელსავით ათამაშო!  
შენ არა გაქვს უფლება ერთგული ერის ბე-  
დი სხვას ჩაუგდო ხელში! ვინ მოგანიჭა შენ  
ვგ უფლება? გაქვს განა ნება სხვისი თავისუფ-  
ლება ფეხით გაჰქელო?... ერმა შენ მოგცა  
უპირატესობა, მეფედ დაგვავა, რომ განაგო  
იმისი კეთილ-ღღეობა მისივე სასარგებლოდ  
და ახლა შენ გავიწყდება, რომ მარადის და  
მარადის მეფის გულის თქმა ეკუთვნის მხო-  
ლოდ ერსა და არა შენ თვითონ!

**გიორგი.** ერს არ ესმის მეფის გულის-  
თქმა და იმისი ღღეთური ზრუნვა!

**მარიამ.** რა შეგცოდა ქართლის ერმა,  
რომ შენ აგრე დასჯას უპირობ? თავისუფ-  
ლი ერთ გინდა ვალიაში შეამწყვდიო?... არა,  
შენ ამას არ იზამ!

**გიორგი.** მარიამ, ჩემო ძვირფასო, გვიან-  
დაა ამაზე ჩვენი სჯა და ბაასი, გვიანდაა!..  
ისინი აქ არიან და ფეხიც მაგრად მოიკიდეს.  
ეს უნდოდა მამა ჩემს, ეს უნდოდათ ჩვენს  
წარჩინებულთ თავადებს და მეც, ცოდვილი,  
იმათი მომხრე ვარ ახლა!.. წადი მარიამ, სი-  
ონში ილოცე და ევეღრე ყოველად მპყრო-  
ბელსა მალალსა ღმერთსა, მოგვიტევოს შე-  
ცოდებანი ჩვენნი.

**მარიამ.** მივალ სიონს! გეტყვი კი, რომ  
ჩვენში ერმა აქამდის არ იცოდა რა არის  
ცრემლი, ახლა კი ცხარე ცრემლს დააფრ-  
ქვევს! (გადის)

**გიორგი.** (მუხუხა) დიახ! დიახ!.. შენ მარ-  
თალი ხარ. მარიამ, ყოველად მართალი!.. სათ-  
ნო აღამიანო!.. ღმერთო! ღმერთო! რა ცოდ-  
ვილი ვარ, შენს წინაშე და რა საბრალო ვარ  
და დამნაშავე—ერის წინაშე! გვიანდაა ახლა  
გვიანდაა! ღმერთო მომხედე და ნუ დამლუ-  
პავ! (შიდის ნეღის ნაბიჯით)

(გ ა რ დ ა)

ქ. ყიფიანი

(გაგრაჰლება იქნება)

# ქართველი მეცნიერი ქალი



**ბარბარე ნიკოლოზის ასული ყიფიანი,** უუმატიანეს ქართველის დიმიტრი ყიფიანის შვილის შვილი, დაიბადა ქ. ქუთაისში 1879 წ. სწავლა დაიწყო სახლში. 11 წ. შეიყვანეს თბილ. წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში, რომელშიც სწავლა შეასრულა 1907 წ. ანდ სახლში და ანდ სასწავლებელში ბარბარესთვის სამშობლო ენა წესიერად არავის შეუსწავლებია. ეს ნაკლი დღე-ღანდღამდე მწუხარებას უჩენს მას და მის შეესებას დღესაც ფიქრობს.

ნივთიერმა უსახსრობამ ბარბარე შრომის უღელში სასწავლებლის კათაბებისასვე შეაბა და 4 წელს ხონის ოთხ-კლასიან ქალთა სასწავლებელში მასწავლებლობდა; ცოდნის წუერიდის მოსკლავად კემგზავრა ევროპას, სადაც თავისი ძვირფასი შამი ეგულეობდა, 11 წლით მასე უწინ წასული. ბელგია შეიქმნა ბარბარეს ტვინის სამშობლოდ; იქ დასრულა საბუნებისმეტყველო ფიკულტეტი, მშვიდად და სიამით მიერა ფიზიოლოგიის მეცნიერულად კვლევა-შესწავლას და მის გამოყენებას ჰელავტიაში.

ფიზიოლოგიური შრომანი ბარბარესი ცნობილი და დაჯილდოებულია მრავალჯერ მარხის სამეცნიერო აკადემიისკან, მეცნიერთა კონგრესებზე და თარგმნილია ევგელა ევროპიულ ენებზე. ჰელავტიაში მან შეიტანა ახალი აზრი, რომ ბავშვი ორივე ხელით უნდა სწავლობდეს წერას, ხატვას და საზოგადოდ ადამიანს ორივე ნახევარი სხეულისა ერთხანთ განვითარება-ვარჯიშობასა და ხმარებაში უნდა მქონდეს; რაც ფიზიოლოგიური კანონებიდან გამომდინარეობს. ამ შრომაში

დიდი ყურადღება დაიშინურა ევროპაში და ბელგიაში მასწავლე შეუდგენს საქმის პრაქტიკულად განხორციელებას.

ბარბარეს კრძობის საფარში სამშობლოს და მშობელ ერს დრმად გაუდგავს ფესვები. უცხო მხარეში კარდახეწილი, კატატობით კრძობდა; თუ რა თქმულა იქ ქართველებზე. ბევრი საგულისხიერი და სახეგლოტო შეხვედრია, რომელთაც ერთგვარ წყობილებაში მოყვანის შედეგად; ფიქრობს გამოაქვეყნოს.

ომის დაწყების საფხულს სტუმრად მოვლდა სამშობლოში, მავრამ ომის გაძლიერების გამო, იგი ველარ დაუბრუნდა ნომალურს მუშაობას და თავის სარჩენად სათ.-აზ. კომინზაში შევიდა ფრანგულ ენის მასწავლებლად, იმ რწმუნით, რომ კვლავ დაუბრუნდება მეცნიერებას.

ვინატრით ჩვენი მოზარდი ქალბი ტეპმარტიების მისაღწევად ბარბარეს სმავსად სიყვარულით შეიმოსნან და მისებრ უფიქრად, კეთილშობილ გზის ძიებით გაქვეყნენ წინმსვლლობას და ნაკლებ მიჭბძონ კანცებს ნივთიერ ქვეყნიერობის ნივთიერობის დაწაფება-გამოკენებაში. მამინ მამავალი უფრო ნათელი და უპრვადი იქნებოდა ჩვენთვის.

## ახალი რეალიზმი სახიოგაში

(კვიზი შევსკის კრიტიკული წერილებიდან)

ძღვინდ მსახ. აღ. კალაბეგიშვილს

...როგორც ვთქვით (თ. და ც. № 44), სტენაზე ადგილი უნდა დიკირას ახლმა მსახიობმა, სულიერ კანცდათა კანმსახიურებულმა, რომელიც სადა და სწორმხედველი ნაბიჯით მიდის წინ.

როგორც სადათ და უბრლოდ კარდაიტენ ნამდვილი ხელავანი მსახიობი, ამის მაგალითის ელენორა დუზე გვაძლევს. იგი ერთ წუთსც არ შეუკუმანებულა იანენის ნორაში“ გამოკლოებინა დრამის ის ადგილები, რომელთაც სინამდვილესთან არავითარი საერთო ანა აქვთ რა, კარდა უსიამოვნო რეზონიორობისა. რადესაც ნორას ქმარი თავის მუქანურ სულას მთელს სიშდაბლეს ამჟღავნებს, მამინ ნორა (ელენორა დუზე) ერთ სიტყვასაც აკ ამბობს, შიმასკან

კარებს უკან იკრუნხებდა, სირცხვილიანსაცხ იწვიის და წიხლით ევსება გული, რომ ქამდის ისეთი კაცის ცალი იყო, — და მიდის თავისთვის. ამბობენ, იბსენი შეტად გაჯავრდა, როდესაც კაიკო თავისი გმირი ქალის ასეთი შეცვლია. მაგრამ სინამდვილე რომა ვსთქვათ, იბსენი, რომელიც სიუფერულით შესტკერდა სსსტენო ხელთნების ნამდვილი გზაზე შედგამას, რომელიც სულით და გულით დტაცებული იყო, რომ წინანდელი ჟონგლითრი და კომედიანტი გარდაქმნის კზას დანდკა, ვნ უნდა განზრახებულიყო... ავტომსრული თავისუფლება უნდა მიანიჭოს მსახიობს, დრამის სოგი ადგილები თავის ინდივიდუალობის შესაფერისად გარდაქმნას. რად არის, რომ მსახიობს არ შეუძლიან სიტყვების წვობათა გადაკეთება ისე, რომ წარმოთქმის დროს არ ბრკალებდეს? ხშირად, ავტორისაგან ნახევრები განსაზღვრული ვიზა ზღუდავს მსახიობის თავისუფალ მიძრავობას, რად არ შეუძლიან მსახიობს, შესწავლას ეს ვიზა უფრო მისახერხებლად, რომელიც ხაჭაბუ შევიწროებას მიუყენებს? რისთვის არის, რომ მსახიობს მიძრავობა ქუჩაში, სახლში ან რესტორანში თავისუფალია, და სტუდენტისა ისე დიალოგა, თათქის ფეხები შებოჭილი ჰქონდეს, რისთვის არის, რომ მსახიობი თავის ტანის თავისუფალ მიძრავობას სტუდიის რაღაც შეზღუდვა, სანაღო მიძრავობად? რისთვის არის, რომ როდესაც მსახიობი განიღდის ამა თუ იმ სულის გვეთქვანს, თავი უკავია რაღაც სხვა ვგადა, იფიქრებს, რომ გაიაროს, წამოხტეს ხალხე და არ დაჯდეს, ან მაგიდასთან არ მიიღუდნის? რისთვის არის, რომ როდესაც მსახიობი სიტყვას მიიღუდნის, წარმოთქვამს, გულში იტყვის, ყვირის მადლი ხშირ? — ნუ თუ ავიწყდება, რომ როდესაც იგი ამ სიტყვას ცხობურებაში წარმოთქვამს, მაშინ იგი სრულით ბუნებრივად იტყვის და, შესაძლებელია, ძვირკისაგება ხუჩულითაც! რისთვის არის, რომ ადუღებთან დროს მსახიობი ასეთ ნაიზად ტადმოთარუნებს თუჯების, თათქო მოქლი გუგნის გადმოქვარა? ამაღს ხომ არავინ სხადის! რისთვის არის, რომ, როდესაც მსახიობი ქალს თავს წადგებიან ჟათა სასურველ მდგომარეობაშია, იგი ტუჩების კეტვას დაიწყებს?

არა, ყველა ასეთი გარტყნული ჟამაში ინტელიგენტ მიუყრებულს ალან აკმაყოფილებს.

სტენა რომ შეიქნეს ნამდვილ მხატვრულ შემოქმედების საღაროდ, ისეთ ადგილად, სადაც ადამიანს შეეძლება დრამად ჩახედოს ცხოვრებაში და უტყობოს მის ძროს, — ამისთვის საჭიროა ადარის მანჭვა-გრება სტენაზე. ამისთვის საჭიროა ინტელიგენტი მსახიობი, რომელიც უნდა შეიარადეს სწორ-მხედველობით და გულწრფელი სინამდვილის კადმომეტეში სადა თამაშით.

ვერხვი

## შ ა რ ა დ ა

სამკაულია ქალების,  
შესამოს ჩასაცმელია;  
მოიღეთ მისი სახელი;  
შუა გააკვეთეთ წყვილია,  
პირველი შემომთავაზეთ,  
შარადს დასაწყებადა,  
შემდეგ მონახეთ ნოტი  
სადგომი, მდგარი ზღვაზედა;  
ოთხ-მარცვლოვანი სახელით  
ცნობილი ქვეყანაზედა;  
პირველ მარცვალს თუ მარჯვენათ,  
ხემორის შესადგმელია, —  
შესადგება მოკლე სახელი  
ჩვენთვის ტანჯულის ხელადა,  
რომლისა სიტყვა გრგვინავდა  
ძველ წესთა დასამზობლადა,  
ახლა კი უცხო მხარეში  
რომ განდევნილია ოზლოდა...

ვარდენ ღვანკითელი

## ქართული სახიობა

ხარფუხის საზ. კლუში თავისი ცხოველმყოფელობით, ეროვნულ-კულტურული მიზნებით უკვე გაერკვა თბილის დანარჩენ კლუბთაგან მამასახლისთა საბჭო მ. ნ. დ. მ. ღუმბაძის თავმჯდომარეობით, ჩამან მტკიცედ შესდგომია თავის წევრთა სასიკეთო მუშაკობას: ყოველ საღამოს, ცვლილებით, იმართება კონცერტი, ლექცია, წარმოდგენა ანუ სხვა კულტურულ-გონებრივი გასართობი. კლუბში დაიარება უმთავრესად დემოკრატიული ნაწილი საზოგადოებისა: უმეტესად ქართველობა და თათრობა, კლუბს მსტუმრობენ რუსები, ვებრაელი და სხევანიც, კლუბში ქართული სულია გაშფებული. იღიას საღამოს (27/X) შემდეგ ვასულ შაბათს საბავშვო საღამო გაიმართა. კვირას,

1/XI, ცნობილმა პუბლიცისტმა სამ. ფორცხლავამ წაიკითხა თავისი ფორალ შინაარსიანი, ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობებით მდიდარი ლექცია „სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი“, რომელიც მრავლად დამსწრე საზოგადოებამ დიდის ყურადღებით მოისმინა და ლექტორი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა. ლექციის შემდეგ სიმებიანმა ორკესტრმა პრესმანის ლოტბარობით შეასრულა რამდენიმე სამუსიკო ნაწარმოები, ზოგიერთი მათგანი საზოგადოების მოთხოვნით განმეორებულ იქნა.

ოთხშაბათს, 4/XI, ქართ. დრ. დასმა კანდრონიკაშვილის რეჟისორობით წარმოადგინა ივ. გომართელის „ექიმთან“ და ა. კარლის „მათიკო“, მ. მ. მ. ამ მოკლე ხანში „ვაჟაფშაველას საღამოს“ გამართავენ.

სასურველია, ლექციის ანუ წარმოდგენის დროს კასხსელელებში სიჩუმე დაიცვან. უსაფრთხო

**ქუთაისის დასმა** თვრამეტი დღის განმავლობაში (1—18 ღვინობ.) წარმოდგენების წესიერად მართვით უკვე შეიზოვა ინტელიგენცია და მუდმივი მოსიარულე ხალხი იღებდა უმთავრესად ისტორიული და გასართობი პიესები, დასი შეთანხმებით, ამხანაგურად მუშაობს. ამ დროს განმავლობაში, თითოეულ წარმოდგენაში საშუალოდ შემოსავალი ჰქონია 23: მ. თითო მარკა—მ. მ. 50 კ. დასს-ეტირებ და ნივთიერი დახმარება, რომ სენზონი ბოლომდე მიიყვანოს. ბენეფისები დაიწყება 19 გიორგობისთვის. პირველი ბენეფისი კენჭით ელო ანდრონიკაშვილისაა.

**სამკაპავში** კვირას, 25/X, ადგილობრივმა სცენის მოყვარეთა წრემ ბ-ნ ბალაშვილის რეჟისორობით წარმოადგინა პ. ირეაელის დრ. „დამარცხებულნი“ წარმოდგენას მომხადება ეტყობოდა: ყველა თავის რაღში იყო, რეჟისორსა და ყველა მოთამაშე სცენის მოყვარეს შესაფერბ შრომა გაეწიათ წარმოდგენის კარგად ჩატარებისათვის. განსაკუთრებით იწყობრათ ხიზარა პირველმა და მეხუთე მოქმ. კარგი იყო ბ-ნი ბალაშვილი (ნაკო); ვ. კუნიშვილი (ვანო); ქ-ნი ა. თათარაშვილისა (დედა). დანარჩენებიც ანსაბლს ხელს უწყობდენ. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო.

7/XI წარმოდგენ. იქნ. „სათელის გმირები“. გ. ხო—ლი

**ბაქოს დრამატიულ წრეს** განუზრახავს ბელახანში თეატრი ორი წარმოდგენა. ტაშართას, ეს დიდი განათა ბელახანის ქართველობისათვის, რომელთაც არაერთი ქართული გულტურული თავსუქსუქვეი დაწესებულება არ მოეპოვებთ, ეტყენ კარგაშეა—ბელახანის ქართველებს გულუხვი თანაგრძნობით მოეპოვება სამშობლო ხელაფნების საქმეს, თუ ეს სცენის მოყვარეთა დასმა ადგიური რეპერტუარი შიასწოდა ხალხს.

**ბალახანის** სსკრებულის დაბაზში, შაბათს, 31/X, გაიმართა მიწვეული წარმოდგენა („ქრისტიანე“ ირეაელის). ქრისტიანეს რაფი ქ. ბ. ქილაჩიშვილმა ზედმიწევნით ხელაფნულად შესრულა. შეუდარებელი იყო ბ. ვ. შალვაშვილი (დათა); ქ. ბ. წულუკიძისა რაუდენათაც მარტავს რაღში მოისუსტებდა, იმდენად კარგი იყო ნატალას რაღში. კარგები იყვნენ ბ. ვ. ფიქია (იასონ), ბ. აწუერელი (მივიტანი) და ბ. ზურაბიძე (?) (მიტოშა). ქ. ბ. ახვლედიანს (მარინე) და ბ. ბოჩუას (დევიანი) შორცხვად ეტობრათ თავი. აღსანიშნავია ქ. ბ. ქუთათელაძე (სონა), ბ. შალვაშვილი (მოქიფი), ჭუმბურიძე (იტი) და ანაშნელი (მოქიფი).

წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. შემდეგი წარმოდგენა 14 მაკმებერს—იპირველია. ყი - ნი

## წვრილი ამბები

◆ **ელისაბედ ჩარაქივიშვილის** 30 წლის სასცენო მოღვაწეობის დღესასწაული გაიმართება მინიველ იანვარში. ბეგნი დამსახურებულ მსახიობ-ქალის სურვილით, შემოსავლის ნაწილი ქართულ დამწერთეატრის სალმშენებლო თანხისთვის გადადება.

◆ **3. შალიკაშვილი**, ბაქოს დასის რეჟისორი, ავად გამხდარა, მაგრამ მინიკ დასს უძღვება.

◆ **ახალგაზდა გიორგანი ი. მხედლიშვილი**, რომელიც აქვს წინად მოსკოვს წავიდა სასწავლოლად, ხელმოკლე ცხვრების გამო ავად გამხდარა და დიდ სილაზიმშია თურმე.

◆ **ცნობილი მოღვაწე-აფული** მახინია სტოლისნ დაბრუნდა. ამ მოკლე ხანში გამართავს მსუღვბის კონცერტს.

◆ **„სოკრატის“** კედლის კალენდარი უკვე დაიბეჭდა, საუცხოვო ზურგიით.—მოზრდილ კარდონზე მოთავსებულია აკაკი და ახალგაზდა მწერლები.

◆ **ქუთაისის „ქართ. დრამის“** ამხ-ის მიერ 26/XI გაიმართება ალ. კალაბეგიშვილის ბენეფისი კვირას. 8/XI წარმოდგენილი იქნება შეიერის ცნობა პიესა „მემკვიდრე პრინცი“. გასულ კვირას „ლალატმა“ დიდძალი ხალხი მოიხილა, წარმ კარგად ჩაიარა.

◆ **სცენის მოყვარეთა „ლაღობი“** ქუთაისში ქალთა კომიტეტის-მიერ გაიმართება 13 ამ თვეს. მონაწილენი: ბეინაბი—ქ-ნი მ. გ. ანჯაფარიძისა; ბუბანია—ქ-ნი ს. ჩიქვანისა; ვიანე—ქ-ნი კილაძისა; ისახარი—ქ-ნი ვ. აბაშიძე-ფრისთავისა, მივიკ—ქ-ნი ტ. გელაფანისა; სულეიმანი—ვრ. ლალიძე; თათარბეგი—პ. ჭავთარაძე; დათო—ელ. დალიანი; ვ. ცოლე—პ. იაშვილი; ბესო—მ. გელაფანი; ყარა იუსუფ—ლორთქიფანიძე; ანანია—თუმანიშვილი; საბა ბერი—შოთა დალიანი.

◆ **ქართ. ღრამ. ღანის ხეოზნი** სახ. სახლ-ში დაიწყება 13 გიორგ. პირველი წარმოდგენა „გადა-კრილი მუხა“, გ. შალიკაშვილისა.

◆ **ხარჭუსის საზ. კლუბის** მამასახლისთა საბჭომ დაადგინა, თვეში სამი უქმე დილა დაუთმოს წაღვერში ქართ. მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად შე-მდგარ კომიტეტს საბავშვო დილათა გასამართავად. გარდა ამისა, თვით მამასახლისთა საბჭო თავის წევრ-თა ოჯახებისთვის გამართავს უფასო საბავშვო დილებს.

◆ **კავკასიელ მხატვარ-ხელოვანთა** გამო-დენახე, როგორც სწანს, პატარა უთანხმოებამ იჩინა თავი. გადაწყვეტილი იყო, გამოფენაში ყველას მიეღო მონაწილეობა საუკეთესო და რჩეულ ნაწარმოებთა გა-მოფენით, რომ უმადლეს სტუმართათვის, რომელთაც ელოან, კავკასიური ხელოვნება გაეცნოთ. ნამდვილად-კი გამოფენის ერთმა მეთაურთაგანმა, ცნობილმა მხატვარმა თავისი ორმოცდა ათამდე ვეება სურათი-ნახატი და კობიო გამოჰფინა პირველ ადგილზე, თით-ქო მახრობააო, რის გამოც მ. თოიძეს ადგილი აღარ დარჩენია. ამით შეურაცხყოფილმა მხატ. მ. თოიძემ თავისი სურათები უკან წაიღო.

◆ **ღრამბ. ტრ. რამიშვილმა** დასწერა ერთ მოქმედებისანი კომედია „ტყვა მხიარული“.

◆ **ელო ანდრონიკაშვილის ბენეფისი** ქუ-თაისის თეატრში გაიმართება 19 გიორგობისთვის.

◆ **ქუთაისის ღრამ. საზ-ის** არა ჩვეულებრივი კრება ამ მოკლე ხანში გაიმართება. კრებამ, სხვათა შორის, უნდა სახსარი აღმოუჩინოს დასს.

◆ **ცნობილს ისტორიკოს** თ. ყორღანიასა თბილისს იწვევენ ისტორიულ ლექციების დროგამოშვე-ბით საკითხავად.

◆ **შიო მღვიმელის მწერლობის** პატივის-მცემელ მშობელთა და მასწავლებელთ გადაუწყვეტნიათ, მგოსანს სახეიშო დილა გაუმართონ.

**აქეთურ-იმიტური**

**განცხადებასაც მოგონება** უნდა! და სად მო-იგონებდნ არა ჩვეულებრივ განცხადებას. თუ არა ავე-რიკაში? ამერიკის ერთს ქალაქში ახალი პიეის წარ-მოდგენამდე, გაზეთებში შემდეგი განცხადება დაიბეჭ-და: „ახალგაზრდა, აღნაზ და აბოლ ქალს, რომელსაც არასი ათასი მანათი აქვს, ჰსურს შეერთოს ქმარი, ისეთი კაცი, რომ ქალის დოვლათის მოვლა-გამძღოლა შეიძლოს. საიმისო, საგანგებო ცოდნა საჭირო არ არის. მსურველთ მიმართონ წერილით მ ვ ბ. მზრუნველს“. ამ „ქალს“ დიდმალი მთხოვნელი აღმოუჩნდა. წარმო-დგენის დღეს, ყველა მათგანმა მიიღო შემდეგი წერი-ლი: „მ. ხ. ჩემი ძმისწული ქალი დღეს საღამოთი და-ესწრობა დღევანდელ წარმოდგენას და იჯდება ლოჯა-ში №... ვთხოვთ თეატრში მიბრძანდეთ და გასინჯოთ. მ ვ ბ.“ რაღა თქმა უნდა, თეატრი გაიჭედა, მხო-ლოდ აღნიშნულ ლოჯაში-კი არავინ მჯდარა...

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

**ხარჭუსის საზ. კლუბი** მიხეილის პრ. № 131

ერთი კვირის პროგ. 7 გიორ. 15- გიორგ-დგ  
**შაბათს** { სიმებიანი ორკესტრი  
**კვირა** { პრესმანის ლოტბარობით,  
**ორშაბ.** სინემატოგრაფი  
**სამშაბ.** სიმებიანი ორკესტრი  
**ოთხშაბ.** ქართ. წარმ. „პირველი ბუზი“  
**ხუთშაბ.** სიმებიანი ორკესტრი  
**პარასკევს.** საზანდარი, სინემატოგრაფი  
**შაბათი** { სიმებიანი ორკესტრი  
**კვირა** { პრესმანის ლოტბარობით  
**შესაბამი ფასი:** შამაკანი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე.



კომპ. ა. ს. ანდრონიკაშვილისა  
 სტამბო ქ. და გოლოვინის პრ. კუთხე.  
 აბა-ლი კვითაძე

**ტფ. ქართ. ფილარ. საზ.**

სამუსიკო სკოლა, სლავოვიცის ძ. ზაილი-ცაის სახ. № 4. მოწაფეთა მიღება 10—2 ს.-მდე დღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კან-ტორაში. **სწავლის ფასი:** ფორტეპ. 70 მ. წელი-წადში, სკრიპკა 75 მ., ვიოლონჩელი—65 მ., კონ-ტრაბასი—50 მ. სიმღერა 100 მ. თეორიის კლასები—15 მ. სწავლის ფასი ნახევარ წლობით წინდაწინ.

**ნომრები „ავრორა“**

ახლად შეკმთებულა, საუცხოვოდ მოწუო-ბილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ეორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სმაზა-რეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუში და ანა). თბილისი, მიხეილის პრ. № 5. ტელეფ.

13—14 (წ)